

---

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა  
და განვითარების ცენტრი**

დავით ამაღლობელი

**საქართველოს საგარეო ვაჭრობა ..... 3**

## საქართველოს საგარეო ვაჭრობა

■ დავით ამალლობელი

საქართველოსათვის ლია ეკონომიკაზე ორიენტაციის აღებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. აუცილებელია, რომ საქართველომ დაიმკვიდროს თავისი ადგილი შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში, რაც მისი დამოუკიდებელი ფუნქციონირების მყარი გარანტი იქნება. ასევე, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის დონე დიდად იქნება დამოკიდებული ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვის და მის მიერ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის ხარისხში. ამიტომაც საგარეო ვაჭრობის პრობლემატიკის შესწავლა და სწორი სტრატეგიის ჩამოყალიბება გადამწყვეტი როლს ითამაშებს საქართველოს ეკონომიკის აღორძინების საქმეში.

**1997 წელს მიმდინარე რაორაციათა ბალანსის უარყოფითა სალიგო რეპროდუს მაჩვენებელს მიმდინარე და 426.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.**

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე ნლებიდან საქართველოს ეკონომიკაში დამკვიდრდა ქვეყნისათვის არასასურველი საერთო ტენდენცია, რაც

საგადამხდელო ბალანსის იმპორტის მინიჭებულებაზე უარყოფით სალიგოში გამოიხატებოდა. უკვე 1992 წელს შედარებით საგადამხდელო ბალანსის

მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის უარყოფითმა სალიგომ 247. 7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და მას შემდგომ იგი ზრდას განიცდის. მიუხედავად ბოლო ნლებში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისა ეკონომიკის ბევრ სფეროში, მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის სალიგო კვლავ უარყოფითია და 1997 წელს რეკორდულ მაჩვენებელს 426.1 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. (აქ გათვალისწინებულია ოფიციალური ტრანსფერებიც). იმისათვის, რათა უფრო უკეთესად გავეცნოთ არსებულ სიტუაციას მოყივანოთ მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი 1992-1997 ნლებში (იხ. ცხრ №1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, რომ არა ოფიციალური ტრანსფერები, რომლებსაც საქართველო ღებულობდა და ჯერ კიდევ ღებულობს, მიმდინარე ოპერაცითა ბალანსის სალიგო გაცილებით დიდი იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 1997 წელს ტრანსფერების სიდიდეს ჭარბობდა წინა ნლებში მაჩვენებლებს, სალიგო მაინც რეკორდული აღმოჩნდა (426.1 მილიონი დოლარი). როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს

მიმდინარე ოპერაციებს შორის უდიდესი ნაწილი საგარეო ვაჭრობაზე მოდის. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობის შეგნით ცალკე არის გამოყოფილი საზღვრისპირა ვაჭრობის მოცულობა, რომელიც წარმოადგენს შეფასებით მაჩვენებელს და მოყოლებული 1995 წლიდან იგი მუშავდება სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ). ამიტომაც თავდაპირველად აქცენტი უნდა გაკეთდეს საგარეო ვაჭრობაზე. იმისათვის, რომ უფრო რეალური სურათი შეიქმნას უმჯობესი იქნება თუკი მსჯელობიდან გამოვთიშავთ ჰუმანიტარული დახმარებით შემოსული ტვირთების მოცულობას და ასევე საჭიროა აბსტრაქტირება მოვახდინოთ შეფასებითი მაჩვენებლებისაგან და მთლიანად დავეყრდნოთ

ოფიციალურ ციფრებს. მართალია რეგისტრირებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობა არ შეესაბამება რეალურ სიტუაციას, მაგრამ ისინი ტენდენციების გამოვლენის საშუალებას მაინც არ იძლევიან. 1994-1997 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობა შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრ №2):

**მიმდინარე ვაჭრობის მინიჭებულებაზე უარყოფით განვითარებული მომართებელი მოვახდინოთ შეადგინა.**

1994 წელს საქართველოდან 38 ქვეყანაში ექსპორტირებულ იქნა 186 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია, ხოლო 47 ქვეყნიდან იმპორტირებულ იქნა 353.2 მილიონი აშშ დოლარის საქონელი. 1995 წელს ექსპორტის 18.7%-იანი კლების კვალობაზე მისმა მოცულობამ 151.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და მოიცვა 48 ქვეყანა, მაშინ როდესაც იმპორტმა ზრდა განიცადა (10.8%-ით წინა წელთან) და მისი მოცულობა 64 ქვეყნიდან გაუტოლდა 391.6 მილიონ აშშ დოლარს. 1996 წელს მსოფლიოს 51 ქვეყანაში ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 198.8 მილიონი აშშ დოლარი (წინა წელთან 31.6%-ით გაიზარდა), ხოლო 78 ქვეყნიდან იმპორტის მოცულობამ შეადგინა 686.7 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა 75.3%-ით).

1997 წლის მონაცემებით კი საქართველოდან 59 ქვეყანაში ექსპორტირებულ იქნა 230.1 მილიონი აშშ დოლარის პროდუქცია (15%-იანი ზრდა), ხოლო 89 ქვეყნიდან იმპორტის მოცულობამ შეადგინა 930.7 მილიონი აშშ დოლარი. (35.5%-იანი ზრდა).

როგორც ვხედავთ უკანასკნელი ნლების განმავლობაში საქართველოს საგარეო

ვაჭრობის პრუნვის საერთო მოცულობა ზრდას განიცდიდა, მაგრამ სამწუხაროდ ექსპორტის ზრდის ტემპები საგრძნობლად ჩამორჩებოდა იმპორტის ზრდის ტემპებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტი და ექსპორტი ურთიერთდამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და თითოეული

მათგანის ზრდა ქვეყანაში საქართველოში იმპორტის უზარმაზარი ტენიანი ეკონომიკური აქტივობის ზრდა მიღითდას საბჭოთა კავშირისა მიღებული ამაღლებაზე მიუთიერებს. ერთ- მავრიდან არის განვითარებული.

ପ୍ରକାଶ ପତ୍ରରେ ଉପରେ ଲଙ୍ଘନ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛନ୍ତି।

საგადამხდელო ბალანსის საღლოს უარყოფითობა, არის ის ფინანსური დახმარება, რომელსაც ქვეყანა დეპულობს საზღვარგარეთიდან, თუმცა მისი მოცულობა თანდათანობით მცირდება. საღლოს

უარყოფითობა შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ  
ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი  
მატება განიცადა უცხოური ინვესტიციების  
შემოდინებამ. ასე მაგალითად, თუკი 1996 წელს  
უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 100  
მილიონ აშშ დოლარს ოდნავ გადაამეტა, 1997  
წელს მათი მოცულობა ზოგიერთი შეფასებით  
203 მილიონი, ხოლო სხვა შეფასებებით 220 და  
242.6 მილიონი აშშ დოლარსაც მიაღწია.  
მართალია უცხოური ინვესტიციების  
შემოდინება დადებითად აისახება  
ს გადამხდელო ბალანსზე, მაგრამ ჩვენს  
შემთხვევაში ინვესტიციების დიდი ნაწილი  
სმარტება საზღვარგარეთ სხვადასხვა  
დანადგარების და მოწყობილობების შექენას,  
რომლებიც საქართველოს საბაჟოს მიერ  
ფორმდება როგორც იმპორტი. ქვეყანაში  
ადგილი აქვს შემოსავლების საერთო ზრდას,  
მაგრამ იმის გამო, რომ ადგილობრივი ნარმობა  
ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნას,  
იმპორტზე მოსახლეობის დამოკიდებულება  
მაღალი რჩება. ექსპორტის ზრდის ჩამორჩენა  
აიხსნება იმითაც, რომ საქართველოში  
ნარმობული პროდუქცია ვერ პასუხობს  
სამართაშორისო სტანტარტებს, თა

დაბალკონურენტუნარიანია. ქართული  
პროდუქციისათვის დამატებითი საექსპორტო  
სტიმული შეიძლება გამზღვიულ ლარის კურსის  
დევალვირება, რაც განაპირობებდა უცხოურ  
ვალუტაში ქართული პროდუქციის  
ღირებულების შემცირებას და შესაბამისად  
ექსპორტის გაფართოებას. ამასთან ლარის  
კურსის დევალვირებით გაიზრდებოდა  
უცხოური პროდუქციის ღირებულება  
გამოსახული ლარებში, რაც თავის მხრივ  
შეამცირებდა იმპორტის მოხმარებას. მაგრამ  
დღევანდელ ეტაპზე საქართველოს  
ხელისუფლებას არ ძალუდს მოახდინოს ლარის  
კურსის მცირედი გაუფასურებაც კი, ვინაიდან  
აღნიშნული კურსის სტაბილურობაზე არის  
დამყარებული მაკროეკონომიკური ურდვევობა.  
და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.  
ამიტომაც საგადამხდელო ბალანსის

უარყოფითი სალდოს შემცირების ამ მნიშვნელოვანი იარაღის გამოყენება მხოლოდ მომავალში იქნება შესაძლებელი, როდესაც ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარება მხოლოდ ეროვნული ვალუტის სიმტკიცეზე არ იქნება დამკაიდებული.

როდესაც საქართველოს საგადამხდელო  
ბალანსის დეფიციტზე ვსაუბრობთ  
მხედველობიდან არ უნდა გამოვიწრება ალბათ ის  
საწყისი, ძირითადი ფაქტორი რამაც განაპირობა  
კიდეც დამოუკიდებელი საქართველოსათვის პრობლემები  
საგარეო ეკონომიკურ  
ურთიერთობებში. საბჭოთა კავშირში მოქმედმა  
გეგმიურმა ეკონომიკამ საქართველო და  
მოკავშირე რესპუბლიკები ურთიერთზე  
სასიცოცხლოდ დამოკიდებული გახდა.  
მართალია. 1989 წლის მონაცემებით  
საქართველოს მთლიანი ნარმოებული  
პროდუქციის 25.1% „ექსპორტში“ გაჰქინდა,  
მაგრამ აღნიშნული პროდუქციის სხვა ქვეყნებშე  
მიწოდება საერთო საკავშირო გეგმით იყო  
გათვალისწინებული და ქართველ მენარმებს  
საექსპორტო საქმიანობის  
განხორციელებისათვის არავითარი ცოდნა ან  
გამოცდილება არ ესაჭიროებოდათ.  
დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც 70  
წლოვანი კომუნისტური მართვის პირობებში  
საქართველოში ჩამოყალიბდა პასუხობდა არა  
ქვეყნის, არამედ საბჭოთა კავშირის ინტერესებს,  
ისე რომ საქართველოს ეკონომიკის  
დამოუკიდებლად ფუნქციონირების  
შესაძლებლობები მინიმუმამდე იყო დაყვანილი.  
სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ 1991-  
1994 წლებში საქართველოს ნარმოების  
მოკლელობა თითქმის 6-ჯერ შემცირდა.

1989 წელს საქართველოს ექსპორტის  
მოცულობა 5.5 მლრდ. სავალუტო მანეთის,  
ხოლო იმპორტი — 3.4 მლრდ. სავალუტო  
მანეთის იყო. შესაბამისად საღდო დადებითი  
იყო და უდრიდა 2.1 მლრდ. სავალუტო მანეთს.  
მაგრამ ამ პერიოდში საქართველოს  
ეკონომიკაში ნარმობული პროდუქცია  
მხოლოდ მცირედით ასახავდა ქვეყნის  
მოთხოვნას და ადგილობრივი  
მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად  
აუცილებელი იყო პროდუქციის სხვა  
რესპუბლიკებიდან შემოტანა. როდესაც  
საქართველო დამოუკიდებელი გამოვიდა  
საერთაშორისო ასპარეზზე, საბჭოთა  
კავშირიდან მემკვიდრეობით მიღებულ  
ადგილობრივ მოთხოვნა-მინიდებას შორის  
სტრუქტურული შეუსაბამობის ფონზე, ასევე  
დიდი დისპარალანსი ნარმობული შეაქტივისა და იმ-  
პორტს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

სასაქონლო პროდუქტის გარდა  
მომსახურებაც ექსპორტ-იმპორტის საგანს  
ნარმოადგენს და მისი მნიშვნელობა, როგორც  
№1 ცხრილშია მოცემული, ნლიდან ნლამდე  
იზრდება. ამასთან, მხოლოდ ორ წელს, 1994 და  
1997 ნლებში იყო მომსახურებით ვაჭრობის  
სალდო უარყოფითი.

1997 წელს  
საუბარი მკა-  
მოგვიანებით გვექნება, ხოლო ჩართუმავალ  
ამჯერად კი მოვიყვანოთ  
ცხრილი, სადაც საქონლისა და  
მომსახურების ექსპორტ-  
იმპორტის დინამიკა იქნება ნაჩვენები (იხ ცხრ  
№3).

ინტერესმოვლებული არ უნდა იყოს  
საქართველოში არსებული მდგომარეობის  
შედარება მეზობელ და სხვა აღმოსავლეთ და  
ცენტრალური ევროპის ყოფილ სოციალისტურ

ქვეყნებთან. ჩვენს შემთხვევაში აქცენტი გაკეთდება სომხეთსა და აზერბაიჯანზე, როგორც ჩვენს უშუალო მეზობლებზე და აგრეთვე ცენტრალური ევროპის ქვეყნებზე, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ხორვატია, სლოვაკეთი და სლოვენია, რომელებიც ტერიტორიის სიდიდისა და მოსახლეობის რაოდენობის, აგრეთვე უახლოესი ისტორიის გათვალისწინებით შედარებით ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებიან (იხ. გამოცდა №4).

პრობლემა დაკავშირებული საგადამხდელო  
ბალანსის დეფიციტურობასთან მხოლოდ  
საქართველოს როდი ანუხებს.  
მსგავსი სირთულეების წინაშე  
დგანან დანარჩენი ყოფილი  
სოციალისტური ქვეყნები. ამის  
უკეთესად დანახვაში დაგვეხმარება  
შემდეგი ნახაზი, რომელზეც  
მოცემულია მიმდინარე

ოპერაციათა ბალანსის სალდოები ქვეყნების  
მიხედვით (იხ. ნახაზი №1).  
როგორც ნახაზიდან ჩანს როგორც  
საქართველოში ასევე სხვა ყოფილ  
სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე  
ოპერაციათა ბალანსის სალდო უარყოფითია,  
მაგრამ სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული  
ტენდენციები შეინიშნება. საქართველოში,  
სომხეთსა და აზერბაიჯანში დეფიციტი  
სტაბილური ტემპებით ფართოვდება. ხორვატიას  
ერთ დროს (1994 წელს) დადგებითი სალდოც კი  
გააჩნდა, მაგრამ მომდევნო წლებში უარყოფითმა  
სალდომ თანდათანობით იწყო გადიდება და 1997  
წელს 2 მლრდ. ლოდარსაც კი მიაღწია. 1994 წელს  
ჩეხეთის მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის  
სალდო ნულის ტოლი იყო, მაგრამ მომდევნო

ნლებში იგი მკვეთრად უარყოფითი გახდა და  
იზრდებოდა 1996 წლამდე, ხოლო 1997 წელს კი  
უარყოფითი სალდო 1.1 მლრდ. დოლარით  
შემცირდა. რაც შეეხება უნგრეთს, აქ 1994  
წლიდან დამყარდა ტენდენცია, რომლის

1997 წელს მიმღებნართ ღვარაციათა პალანდის  
სასულო გვა-მი იტირს მისაღვით ხერალტველო სავა  
რარდამავალი ეკონომიკის მიწი ეცხვნებს შორის  
მცხოვრის არასარი გადამზადების მიზანის მიზანის  
იმპორტის გადამზადების მიზანის მიზანის მიზანის

იგი უარყოფითი გახდა, თუმცა 1997 წელს ნინა წელთან შედარებით დეფიციტი შემცირდა. სლოვენიაში საგარეო ვაჭრობა არასტაბილურად ვითარდებოდა და თუ ერთ წელს სალდო უარყოფითი იყო, მომდევნო წელს იგი დადებითი ხდებოდა. 1997 წელს უარყოფითი სალდო 100 მილიონი იყო.

თუკი მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის  
სალდო მშპ-ში წილის მიხედვით მოვახდენთ  
შედარებას, აღნიშვნის ღირსია, რომ ამ მხრივ  
საქართველო ყველაზე არასახარბიელო  
მდგომარეობაში იმყოფება, ვინაიდან თუკი

საკონსულა და მომსახურების ეპსონტის  
ჩვენლუტური მოცულობების მიხედვით  
საქართველო მნიშვნელოვნება ჩატავს  
ჩატავდარების და სიფიქირების

მაგალითად 1997 წლის მიხედვით ვიმსჯელებთ ეს ციფრი საქართველოსათვის 12.3% იყო, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში გაცილებით ნაკლები და მაგალითად სლოვენიაში იგი - 0.5%-ს უდრიდა. მართალია საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი კლებას განიცდიდა, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ხოლო ზოგიერთ მათგანში იზრდებოდა კიდეც, მაგრამ ჯერჯერობით იგი ყველაზე მაღალია, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ჩვენი ქვეყნის იმპორტზე ძლიერ დამოკიდებულებაზე (იხ. ნახაზი №2).

საგაჭრო ბალანსთან დაკავშირებით იგივე  
შეიძლება ითქვას, რაც მიმდინარე ოპერაციათა  
ბალანსზე. უარყოფითი სალდოს ზრდის  
ტენდენცია დამახასიათებელია საქართვე-  
ლოსათვის, სომხეთისათვის, აზე-

რბაიჯანისათვის, ხორვატიისათვის, პოლონეთისათვის და სლოვაკეთისათვის. ამ მხრივ დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა უნგრეთში და

1997 წელს ექსართული ზრდის ფინანსის მიხედვით საქართველო დასახელებულ ევენიებს შორის გირველ აღილზე იმყოფებოდა.

ნაწილობრივ სლოვენიაში (იხ. ნახაზი №3).

როგორც ზემოთ მოყვანილი ჩანს საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი გაცილებით ჩამორჩებიან სხვა ქვეყნებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობების მიხედვით. კავკასიის ამ სამ რესუბლიკებს შორის კი აზერბაიჯანი გაცილებით უსწრებს ნინ (დაახლოებით 2-3-ჯერ)

საქართველოსა და სომხეთს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ისეთი ქვეყანაც კი, როგორიცაა სლოვენია, რომელიც ტერიტორიის სიდიდითა და მოსახლეობის რიცხოვნობით 3-ჯერ ნაკლებია საქართველოზე, ძალზედ ნარმატებული აღმოჩნდა საკუთარი პროდუქციის ექსპორტის თვალსაზრისით. ასე მაგალითად, 1997 წელს სლოვენიამ ექსპორტი გაიტანა 11.5 მლრდ. ლოდარის ღირებულების საქონელი და მომსახურება ანუ დაახლოებით 28-ჯერ მეტი ვიდრე საქართველომ იმავე პერიოდში (იხ. ნახაზი №4).

1997 წლის მონაცემებით ექსპორტის რეალური ზრდის ტემპების მიხედვით საქართველო დასახელებულ ქვეყნებს შორის

**გარდამავალი ეკონომიკის მარც ევენიებს შორის საქართველო მონაცემებით გირველ აღილზე იმყოფება.**

პირველ აღგილზე იმყოფება, თუმცა ეს სარულიადაც არ იძლევა თვითდამშვიდების საშუალებას, ვინაიდან როგორც ზემოთ ნაჩვენებმა ნახაზმა დაგვანახა გარდამავალი ეკონომიკის მარც ევენიებით შორის იმპორტის ზრდას საქართველოს ექსპორტის მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა ქვეყნებს. ამასთან ექსპორტის ამგვარი ზრდა 1993-94 წლების საერთო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ბუნებრივი მოვლენაა. ამის დადასტურებაა სხვა ქვეყნების გამოცდილებაც, რომელმაც შედარებითი რეცესია (და არა მსგავსი კრიზისი) განიცადეს 1991-92 წლებში და მომდევნო პერიოდში (ისევ ნახაზიდან), კერძოდ 1994-95 წლებში საგრძნობი ტემპებით გაზარდეს ექსპორტის მოცულობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ჩამოთვლილ ცხრა ქვეყანას შორის, რომლისთვისაც ორი (1994-1995) წლის განმავლობაში დამახასიათებელი იყო ექსპორტის კლება (იხ. ნახაზი №5).

საინტერესო მაჩვენებელს წარმოადგენს

ექსპორტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში, რომელიც უფრო რეალურ შეხედულებას გვიყალიბებს ამა თუ იმ ქვეყნის ექსპორტის მდგომარეობის შესახებ (იხ. ნახაზი №6). როგორც ნახაზიდან ჩანს, საქართველო ამ შემთხვევაშიც სამუხაროდ ბოლო ადგილზე იმყოფება დასახელებულ ცხრა ქვეყანას შორის და მისი კოეფიციენტი მხოლოდ

**როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის ბაზობური მონაცემებით საქართველო გაცილებით ჩამორჩება მსგავსი განვითარების შემთხვევის მარც და ცილინდრის ექსპორტის გაიტანება.**

8.5%-ის ტოლია. ამ მხრივ შესანიშნავ მაგალითს იძლევა ჩეხეთი, რომლის მიერ მთლიანი წარმოებული პროდუქციის 67.4% საზღვარგარეთ ექსპორტის სახით გაიტანება. ჩეხეთს სულ მცირედით ჩამორჩებიან სლოვაკეთი და სლოვენია, რომელთა მაჩვენებლები შესაბამისად 63.4% და 58.3%-ია. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება მის უშუალო მეზობლებს სომხეთსა და აზერბაიჯანს.

როგორც ნახაზიდან ჩანს აბსოლუტური მონაცემებით საქართველოს იმპორტის მოცულობაც ასევე ჩამორჩება სხვა ქვეყნების შესაბამის მონაცემებს, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ხორვატია, სლოვენია და სლოვაკეთი, რომელებიც საქართველოს მსგავსი ქვეყნები არიან და ცხრა რომელთა იმპორტის მოცულობა 10-ჯერ და მეტჯერ აღემატება საქართველოსას (იხ. ნახაზი №7). დიდი იმპორტის მოცულობა მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანას გააჩნია საკმარისისაშუალებები მის შესაძნად და რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მათი ეკონომიკის განვითარების

**გარდამავალი ეკონომიკის მარც ევენიებს შილი მიხედვით გირველ აღილზე იმყოფება.**

ხარისხზე ამასთან იმპორტის მაღალი დონე ხელს უწყობს ექსპორტის შესაბამისად მაღალ დონეზე შენარჩუნებას და თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ქვეყნები გარდამავალ საფეხურზე იმყოფებიან და მათ იმპორტში განსაკუთრებით მაღალია ინვესტიციების წილი, ეს გვაფიქრებინებს რომ მომავალში ამ ქვეყნების საექსპორტო შესაძლებლობები კიდევ უფრო გაიზრდება.

თუკი ქვეყნების მიხედვით იმპორტის მოცულობის ცვლილებებს შევადარებთ დავინახავთ, რომ ამ მხრივ ლიდერობს საქართველო, რაც კიდევ ერთი უარყოფითი მომენტია, რომელიც ჩვენს ეკონომიკას ახასიათებს (იხ. ნახაზი №8). სხვა დანარჩენ

ქვეყნებში იმპორტისათვის კლების ტენდენციაა დამახასიათებელი. საქართველოშიც იმპორტი თანდათანობით მცირე ტემპებით განაგრძობს ზრდას, მაგრამ ზრდის ტემპი კულტურული კიდევ ძალზედ

**საქართველოს, როგორც ესპორტის ისე იმპორტის შემცირების სასამართლო სტრუქტურაში ყველაზე გადამამუშავებელ მრეცველობას უჩირავს.**

მაღალი რჩება. ასე მაგალითად, 1997 წელს საქართველოში იმპორტის ზრდის ტემპი იყო 51%, მაშინ როდესაც სლოვაკეთში იმპორტი

მაღალი ტემპით იზრდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი. ის გარემობა, რომ 1997 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი წინა წელთან

შედარებით 4 მილიონით დაიდი ადგილი განპირობებული საქართველოში ამ სახის პროდუქციის წარმოების საერთო შემცირებით. პირიქით ამ პერიოდში საქართველოში აღნიშნული დარგის პროდუქციის წარმოება მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდებოდა და ალბათ

**სწრაულ ზრდით რეალური მაჩვენებელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტისა 1997 წელს სტარბობდა 12.8 მილიონ დოლარს და უბრალოდ ამ ნაჭარის დაფიქსირება არ მომხდარა შესაბამისი ორგანოების მიერ. ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს**

**სამ მსხვილ სეიჭოს შორის ყველაზე გადამამუშავებელი მრეცველობა ხასიათდება.**

საერთოდ კლებას განიცდიდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო იმპორტშემცვლელი დარგების განვითარებით ამ ქვეყანაში. საქართველომაც თანდათანობით უარი უნდა თქვას ზოგიერთი სახის პროდუქციის იმპორტზე და განახორციელოს მათზე უკანასკნელი მოთხოვნის ადგილობრივი განსაკუთრებული დალებით დაკმაყოფილება.

**საქართველოს საგარეო სტრუქტურაში.**

ვაჭრობის ბრუნვის დახასიათების შემდეგ, საჭიროა გადავიდეთ ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის შესწავლაზე. თავდაპირველად გავარკვიოთ თუ როგორი სიტუაციაა ამ მხრივ ეკონომიკის სამი უმსხვილესი სექტორის: სოფლის მეურნეობის, მომპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობის მიხედვით, რაც წარმოდგენას შეგვიქნის ქვეყნის ეკონომიკურ თანამდებობის და მის განვითარების პირობებზე. ამაში კი შემდეგი ნახაზები დაგვეხმარება (იხ. ნახაზები №9, №10):

როგორც ნახაზებიდან ჩანს საქართველოს, როგორც ექსპორტის ისე იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გადამუშავებელ მრეწველობას. 1995 წელს საქართველოდან ექსპორტირებულ იქნა 135.6 მილიონი აშშ დოლარის პროდუქცია, რაც მთელი ექსპორტის 87.8% იყო, 1996 წელს - 167.9 მილიონი აშშ დოლარის პროდუქცია (84.2% მთელი ექსპორტის), ხოლო 1997 წელს გადამუშავებითი მრეწველობის ექსპორტმა - 203.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (88.4%). აღნიშნულ პერიოდში ასევე გაიზარდა გადამუშავებითი მრეწველობის პროდუქციის იმპორტიც, რომელიც 1997 წელს 552.2 მილიონი აშშ დოლარით სტარბობდა შესაბამისი პროდუქციის ექსპორტს.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას საქართველოდან მისმა ექსპორტმა 9.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთელი ექსპორტის მოცულობის 6.1% იყო. 1996 წელს ეს მაჩვენებელი 16.8 მილიონ დოლარამდე გაიზარდა (8.4%), ხოლო 1997 წელს კი 12.8 მილიონ დოლარამდე შემცირდა (5.6%). აღნიშნულ პერიოდში ასევე

**ნლები განმავლობაში განსაკუთრებულ მომენტის მიზანით მომხდარი განვითარების მიერ. ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს**

საექსპორტო ბაზრების ქვეყნებთან სარკისებური შედარება იძლევა. 1995-1997 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის მაღალი დონე ძირითადად გამოწვეული იყო ხორბლის ჰუმანიტარული დახმარების საგრძნობი შემცირების და კომერციული ხორბლის იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდით. ასე მაგალითად, თუკი 1995 წელს საქართველოში შემოტანილი იქნა 7 მილიონი დოლარის ლირებულების კომერციული ხორბალი, 1996 წელს ეს ციფრი 63.7 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, რაც მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის 97.5% იყო. 1997 წელს საქართველოში ხორბლის წარმოების 2.7-ჯერ გაზრდამ განაპირობა იმპორტის გარკვეული დონით ჩანაცვლება და ხორბლის იმპორტმა ამ წელს 57.6 მილიონი დოლარი შეადგინა.

თუ 1996 წელს მოპოვებითი პროდუქციის ექსპორტი 1995 წელთან შედარებით 6.7 მილიონი დოლარიდან 14.7 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, 1997 წელს ეს მაჩვენებელი კვლავ შემცირდა და 11.4 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს გარემოება ძირითადად მანგანუმის მადნის, სპილენძის და ქვანახშირის წარმოების შემცირებით იყო გამოწვეული. მოპოვებითი პროდუქციის იმპორტი საქართველოში ძალიან მცირეა და მან 1997 წელს მთელი იმპორტის მხოლოდ 1% შეადგინა.

საქართველოს ექსპორტის ძირითად შემადგენელ სასაქონლო პოზიციებს წარმოადგენს: შავი და ფერადი ლითონები, ხილი, ციტრუსები, ჩაი, აზოტოვანი სასუქები, ალკოჰოლური სასმელები; ხოლო იმპორტში

სჭარბობენ - ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ხორბალი, შაქარი, სიგარეტი და სხვა. უფრო ზუსტად საქართველოს ძირითადი საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციის შესახებ ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ცხრილში (იხ. ცხრ №5).

განვიხილოთ ექსპორტის და იმპორტის დინამიკა 1994-1997 წლებში ძირითადი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით:

\* მინერალური ნივლები. 1994 წელს აღნიშნული პროდუქციის ექსპორტმა 2.2 მილიონი დოლარი შეადგინა და მომდევნო წელს 1.9 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. 1996 წელს კი 160%-იანი ზრდის შედეგად 4.9 მილიონ დოლარს, ხოლო 1997 წელს 250%-იანი ზრდის კვალობაზე 17.6 მილიონ დოლარს მიაღწია. აღნიშნული გარემოების შექმნას უდავოდ შეუწყო ხელი ამ სფეროში განხორციელებულმა პრივატიზაციამ და დიდი რაოდენობით უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ სწორი პოზიციის დაკავებამ, რის საფუძველზეც დარგში კონკურენციული გარემო ჩამოყალიბდა. მინერალური ნივლების ექსპორტთან დაკავშირებული სიტუაცია კარგად ჩანს ნახაზებზე №11 და №12.

\* ჩაის ექსპორტისათვის დამახასიათებელია დიდი მერყეობები. ასე მაგალითად, თუკი 1994 წელს ჩაის ექსპორტი 11.5 მილიონი დოლარი იყო, 1995 წელს - 8.9 მილიონი დოლარი, 1996 წელს გაიზარდა 16.9 მილიონ დოლარამდე, ხოლო 1997 წელს კვლავ შემცირდა - 13.9 მილიონ დოლარამდე. თუმცა 1996 წელს ჩაის პროდუქციის დიდი ექსპორტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ წელს თურქებითში გაზის დავალიანების დასაფარავად გადაგზავნილი იქნა 11.8 მილიონი დოლარის ლირებულების პროდუქცია (რაც ამ წელს ჩაის ექსპორტის 70.2% იყო) და თანაც შედარებით მაღალ ფასებში (1 კგ. - 1.36 დოლარი). რეალურად 1997 წელს ამ მხრივ სიტუაცია უფრო სახარბიელო იყო, ვინაიდან ჩაის ნარმოება მთლიანობაში გაიზარდა და ექსპორტი თანაბრად განანილდა რამოდენიმე ქვეყანაზე, კერძოდ რუსეთზე - 36.9%, უზბეკეთზე - 24.5%, თურქებითზე - 23.7% და 1 კილოგრამი ჩაის საშუალო ფასმა 0.92 დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბაზარზე 1 კგ. ჩაის ფასი ხშირ შემთხვევაში 5 დოლარს აღემატება. ეს გარემოება ნათლად მეტყველებს იმ რეზერვებზე რაც ქართული ჩაის ექსპორტთან დაკავშირებით არსებობს, კერძოდ კი ჩვენს პროდუქციას შესაძლებლობა ექნება ფასობრივი კონკურენციის გაწევა და რაც უფრო მთავარია, ჩაის ხარისხზე განეული დანახარჯების განევის შედეგად მისი რეალური ლირებულება არ გადააჭარბებს მსოფლიო ფასს. ეს მომენტი კარგად იქნა შეცნობილი გერმანული ფირმა „მარტინ ბაუერის“ მიერ, რომელმაც 1997 წლის ივნისის მდგომარეობით 11 პროცენტში 3.7 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჰქონდა განხორციელებული და რომლის მეშვეობითაც ქართულმა ჩაიმ ევროპის ბაზარზე ჰპოვა

გასასვლელი. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ გამომდინარე იმ პოტენციიდან, რაც ქართულ ჩაის გააჩნია, საჭიროა სხვა უცხოური ინვესტორების მოზიდვაც, რათა საბოლოო ჯამში „მარტინ ბაუერმა“ მოლიანად არ ჩაიგდოს ხელთ ჩაის ნარმოება საქართველოში (ამის საშიშროებას ქმნის თუნდაც მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციების გეოგრაფიული განაწილება) და მონოპოლიური მოგებებით მომავალში (იხ. ნახაზები №13, №14).

\* აზოტოვანი სასუქები. თუკი ჩაის ექსპორტისათვის მოცულობებში დიდი მერყეობებია დამახასიათებელი, აზოტოვანი სასუქების ექსპორტი პირიქით სტაბილური ზრდით გამოირჩევა. 1994 წელს პროდუქციის ამ ექსპორტმა 2.4 მილიონი აშშ დოლარი, 1995 წელს - 7.3 მილიონი, 1996 წელს - 11.9 მილიონი და 1997 წელს - 13.8 მილიონი დოლარი შეადგინა. სტაბილური ზრდის გამაპირობებელი სასუქების საერთაშორისო სტანდარტებით ნარმოება და რაც ყველაზე მთავარია ელექტროენერგიის სტაბილური მიწოდების საგრძნობი გაუმჯობესებაა. სასუქების ექსპორტი ხდება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა თურქეთი (5.5 მილიონი დოლარი), აზერბაიჯანი (2.2 მილიონი დოლარი), სომხეთი (3.8 მილიონი დოლარი) და გერმანია (1.1 მილიონი დოლარი) (იხ. ნახაზები №15, №16).

\* შავი ლითონები. ის ფაქტი, რომ საბჭოთა პერიოდის საქართველოს ეკონომიკა კავშირის ინტერესებს პასუხობდა და არა საკუთრივ საქართველოსას, ნათლად გამოვლინდა მეტალურგიულ ნარმოებაში. რომ არა საბჭოთა კავშირი და მისი პოლიტიკა, ქართველებს არასოდეს არ დასტირდებოდათ დამოუკიდებლად ისეთი გიგანტების მშენებლობა, როგორებიც რუსთავის მეტალურგიული კომპინატი ან თუნდაც ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანაა. აღნიშნული დარგი ენერგოტევად დარგთა რიცხვს განეკუთნება და მისი ფუნქციონირება დამოუკიდებელი საქართველოს პირობაზე ძალზედ გაჭირდა. სწორედ ამიტომაც 1994-1996 წლებში (რომ აღარაფერი ვთქვათ 1991 წლის შემდეგ ნარმოების კატასტროფულ ვარდნაზე) შავი ლითონების ნაწარმის ექსპორტის წილი ექსპორტის საერთო მოცულობაში მცირდებოდა. 1996 წლის 1994 წელთან შედარებით შემცირდა შავი მეტალურგიის პროდუქციის ძირითადი სახეობების ნარმოება. ასე მაგალითად, ნაგლინის ნარმოება დაეცა 1994 წელთან შედარებით 35.1%-ით, ფოლადის მილებისა - 16.8%-ით. 1997 წელს შეიმჩნეოდა სიტუაციის მცირებლები გაუმჯობესება (რაც ამ სფეროში ჩატარებულმა პრივატიზაციამ განაპირობა) და 1996 წელთან შედარებით შავი ლითონის მილების ექსპორტის 15.7 მილიონი დოლარიდან 17.1 მილიონ დოლარამდე გაზრდა მოჰყვა. თუმცა მდგომარეობა ჯერ კიდევ არასახარბიელო, მაგალითისათვის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა თავისი

შესაძლებლობების მხოლოდ 10-12%-ის დატვირთვით ფუნქციონირებს (იხ. ნახაზები №17, №18).

\* ფეროშენადნობი. 1994-1996 წლებში ამ პროდუქციის ექსპერტი 15.9 მილიონიდან 7.7 მილიონ დოლარამდე შემცირდა, რაც ძირითადად ნარმოების ვარდნით იყო გამოწვეული. 1997 წელს სიტუაცია გარკვეული ილად გაუმჯობესდა და ექსპორტის მოცულობამ 15.5 მილიონს მიაღწია. აღნიშნულ ფაქტს ხელი შეუწყო უცხოელი პარტნიორის დახმარებით ნარმოების ამოქმედებამ და რეალიზაციის უზრუნველყოფამ (იხ. ნახაზები №19, №20).

\* ღვინოები. ამ პროდუქციის ექსპორტისათვის 1994-1997 წლებში სწრაფი ზრდა იყო დამახასიათებელი. 1995 წელს ზრდა 55%, 1996 წელს - 9%, ხოლო 1997 წელს - 232%-ს შეადგინდა. პროდუქციის ძირითადი მომხმარებელია რუსეთი, სადაც 1997 წელს მოედნი ექსპორტის 85.4%-ის რეალიზება მოხდა. ასევე მსხვილ მომხმარებლებს განეკუთნებიან უკრაინა - 8.1% და ნიდერლანდი - 3.2% (იხ. ნახაზები №21, №22).

\* სპილენძის მადანი და კონცენტრატი. სამთო-მეტალურგიული კომპლექსის პროდუქციითა შორის 1994-1996 წლებში ნარმატებით ვითარდებოდა სპილენძის მადანის კონცენტრატის ექსპორტი, რომელიც 1996 წელს 1994 წელთან შედარებით 407%-ით გაიზარდა 1997 წელს კი თავი იჩინა ნარმოების შემცირებამ, 1997 წელს კი თავი იჩინა ნარმოების შემცირებამ,

**იმპორტის სტრუქტურაში უდიდესი ნივთები და ნავთობის შედეგები მოდის.**

რასაც თან მოცყვა ექსპორტის შემცირებაც 13.2 მილიონი დოლარიდან 7.2 მილიონ დოლარამდე. აღნიშნული პროდუქციის მოელი მოცულობა

**საქართველო  
ნავთობის და სამსახურის შედეგები  
რეაქციონის სახით ისევ ძვირდების გარეთ გადის.**

ექსპორტირებულ იქნა ბულგარეთში და რუმინეთში (იხ. ნახაზები №23, №24).

\* ციტრუსები. 1994-1996 წლებში განუწვევლივ იზრდებოდა ამ სახის პროდუქციის ექსპორტი, რაც ძირითადად ნარმოების ზრდით და რაც მთავარია რუსეთთან და უკრაინასთან (ძირითად მომხმარებლებთან) სტრანსპორტის მიმოსვლის გაუმჯობესებით იყო განპირობებული. 1997 წელს ცუდი სეზონის გამო ციტრუსების ნარმოება გარკვეული დონით შემცირდა, რაც შესაბამისად აისახა ექსპორტზეც (იხ. ნახაზები №25, №26).

\* ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები. 1994 წლიდან 1996 წლის ჩათვლით სპირტიანი და სპირტიანი სასმელებისექსპორტი ვარდნას განიცდიდა, რაც ამ სფეროში დაბალკონკურენტიანი პროდუქციის ნარმოებით იყო განპირობებული. 1997 წელს ქართული სპირტიანი სასმელების ხარისხის გარკვეული გაუმჯობესების შედეგად ადგილი ჰქონდა ექსპორტის 130%-იან ზრდას ნინა ნელთან შედარებით (იხ. ნახაზები №27, №28).

ეხლა რაც შექება იმპორტს მის სასაქონლო სტრუქტურაში უდიდესი ნანილი ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე მოდის. ასე მაგალითად, 1995 წელს ნინა ნელთან შედარებით 328.5%-იანი ზრდის შემდეგ ამ პროდუქციის იმპორტის მოცულობამ 112.7 მილიონი დოლარი შეადგინა. ასეთი რაოდენობის ნავთობი არ არის საჭირო საქართველოს მოთხოვნილებიდან გამომდინარე და მისი დიდი ნანილი რეექსპორტის სახით სამხეთში გაედინება. 1996 წელს ნავთობპროდუქტების იმპორტი 42%-ით გაიზარდა და შეადგინა 159.8 მილიონი დოლარი. 1997 წლის სექტემბერში საქართველო და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ ზოგიერთი სახეობის პროდუქციის (მათ შორის ნავთობპროდუქტების) რეექსპორტი განახორციელონ მხოლოდ საქონლის ნარმოშობის ქვეყნის ნებართვის საფუძველზე, რასაც თან მოჰყვა მცირედით, მაგრამ მაინც საქართველოში ნავთობპროდუქტების იმპორტის შემცირება 151 მილიონ დოლარამდე 1997 წელს (იხ. ნახაზები №29, №30).

\* თამბაქოს ნანარმი. მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა სიგარეტის იმპორტში, კერძოდ 1996 წელს ეს ციფრი 30.8 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო 1997 წელს 107.7 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. რაც ძირითადად ადგილობრივი ნარმოების შემცირებით, მნეველთა არმიის მნიშვნელოვანი გაფართოების (საქართველოში დაახლოებით 2 მილიონი მნეველია), სიგარეტის დაბალი ფასით და აგრეთვე საბაჟო დეპარტამენტის საქმიანობის გაუმჯობესებით იყო განპირობებული (იხ. ნახაზები №31, №32).

\* ხორბალი. 1994-1996 წლებში აღინიშნებოდა კომერციული ხორბლის იმპორტის მნიშვნელოვანი ტემპებით ზრდა, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰუმანიტარული დახმარების მოცულობის მკვეთრი შემცირებით

**იმპორტის მზადებელის ზეთის და ლუდის იმპორტი  
კლებას განიცდის აღინიშნულ პროდუქციაზე  
მოთხოვნის გადილორიზი ნარმოების ცარჯზე.**  
და ხორბლის იმპორტის დაბეგვრის შემსუბუქებით იყო განპირობებული (იხ.

ნახაზები №33, №34).

\* სამურნალო საშუალებები. 1994-1997 წლებში იმპორტი 0.5 მილიონი დოლარიდან 34.5 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, რაც ამ სექტორში პუმანიტარული დახმარების შემცირებით და მის სანაცვლოდ კომერციული იმპორტის განხორციელებით აიხსნება. მედიკამენტების იმპორტის გაფართოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ისინი ახალი კანონმდებლობით შეღავათიანი 5%-იანი განაკვეთით იძეგლებიან (იხ. ნახაზები №35, №36).

\* მანქანა-მოწყობილობები. თუკი იმპორტს სასურველად და არასასურველად დავაჯერულებთ, მაშინ მანქანა-მოწყობილობების იმპორტი, განსაკუთრებით დღევანდელ ეტაპზე, მხოლოდ სასურველ იმპორტად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდნ მისი საშუალებით წლების განმავლობაში შესაძლებელია პროდუქციის წარმოება და ექსპორტირება. თუკი 1994 წელს მანქანა-მოწყობილობების იმპორტის მოცულობა მხოლოდ 5.3 მილიონი დოლარი იყო, 1997 წელს ეს მაჩვენებელი 188 მილიონამდე ავიდა. იმპორტის ამგვარ გაფართოებას ხელი შეუწყო უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ და აგრეთვე საგადასახადო შეღავათებმა ამ პროდუქციის იმპორტზე, კერძოდ, საბაჟო ტარიფის 12-დან 5%-მდე შემცირებამ და დღგ-დან განთავისუფლებამ.

## საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს ჩასეთი და ტურისტი ცარისობის განვითარების

რაც შეეხება დანარჩენ იმპორტულ პროდუქციას აქ ქვეყნისათვის დადებითი ტენდენციები შეინიშნება, კერძოდ ადგილი აქვს იმპორტის ჩანაცვლებას ადგილობრივი წარმოების პროდუქციით. ასე მოხდა მაგალითად შაქრის, მზესუმზირის, ზეთის და ლუდის შემთხვევაში, რომელთა იმპორტის ზრდა ზოგიერთ შემთხვევაში არათუ შენელდა, არამედ პირიქით შემცირებისაკენ აიღო პირი. სწორედ ადგილობრივი წარმოების ზრდამ განაპირობა აღნიშნულ პერიოდში იმპორტის მოცულობის შემცირება შესაბამის პოზიციებში: მცენარეული წარმოშობის ზეთების იმპორტი შემცირდა 30%-ით, ღვინის იმპორტი კი - 40%-ით.

ესლა შევეცადოთ დავადგინოთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებანი. უნდა აღნიშნოს, რომ 1994-1997 წლებში გაფართოვდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია. კერძოდ, თუკი 1994 წელს სავაჭრო ოპერაციები 54 ქვეყანასთან განხორციელდა, 1995 წელს - 70 ქვეყანასთან, 1996 წელს - 83 ქვეყანასთან, ხოლო 1997 წელს - 94 ქვეყანასთან. 1995-1997 წლებში პარტნიორი ქვეყნების ზრდას თან მოჰყვა იმ ქვეყნების რიცხვის 18-დან 12 შემცირება, რომლებთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა.

ესლა კი დავადგინოთ ის ქვეყნები,

რომლებიც საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ. ამაში კი შემდეგი სამიცხრილი დაგვეხმარება (იხ. ცხრ №6, №7, №8).

როგორც ცხრილიდან ჩანს უმსხვილეს პარტნიორთა შორის საქართველოსათვის კვლავ რუსეთი და თურქეთი რჩებიან.

1995 წლის უმსხვილეს პარტნიორთა სიაში თურქეთი პირველ ადგილზე იდგა და საქონელბრუნვის მოცულობა დაახლოებით 115 მლნ. დოლარი იყო. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ 70 წლოვნი იზოლაციის შემდეგ სქართველოს საშუალება მიეცა ვაჭრობა განევითარებინა მის უშუალო მეზობელთან და ამას დაემატა ქართველი მოსახლეობის მოხმარების სტრუქტურის შეცვლა ახალი, მათთვის მიუჩვეველი პროდუქციის სასარგებლოდ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თურქული პროდუქციის გაბატონებას საქართველოს ბაზარზე ხელი შეუწყო იმ კონკრეტულმა უპირატესობამ, რომელიც საქართველოს მოსახლეობის დაბალი შემოსავლების გათვალისწინებით შესანიშნავად მოქმედებდა, ეს იყო დაბალი ფასი. 1996 წელს სავაჭრო ბრუნვა თურქეთთან ოდნავ შემცირდა, მაგრამ 1997 წელს მან მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა და 144 მლნ. დოლარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ საქონელბრუნვის გაფართოება ძირითადად მოხდა იმპორტის საგრძნობი გადიდების ხარჯზე, მაშინ როდესაც ექსპორტი 1997 წელს 1995 წელთან შედარებით 4.9 მილიონი დოლარით შემცირდა (იხ. ნახაზი №39).

თურქეთში ექსპორტის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენენ: წავთობი და ნავთობპროდუქტები, სასუქები, შავი ლითონები და მათი ნაწარმი, ხოლო იმპორტის სახით ძირითადად შემოდიოდა: რძის პროდუქტები, ფრინველის ხორცი, ხორბალი, ცხიმები, თამბაქო (32.9 მლნ. დოლარის), სხვადასვა მოწყობილობები.

რუსეთი. განსაკუთრებული სწრაფი ზრდა საქონელბრუნვის თვალსაზრისით განიცადა რუსეთთან ვაჭრობამ და ბოლო ორი წელია რუსეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. ამგვარი სწრაფი ზრდა შეიძლება აიხსნას იმით, რომ ტრადიციული კავშირების მოშლის შემდეგ მიმდინარეობს აღდგენა ამ კავშირებისა. ასევე აღნიშვნის ღირსია, რომ თუკი 1995 წელს რუსეთთან ვაჭრობის თვალსაზრისით ექსპორტი და იმპორტის თითქმის ერთმანეთის ტოლი იყო, მომდევნო წლებში განსაკუთრებული ზრდა განიცადა იმპორტმა, მაშინ როდესაც ექსპორტი უმნიშვნელოდ იმატებდა (იხ. ნახაზი №40).

რუსეთი კვლავაც რჩება უდიდესი სავაჭრო პარტნიორი და 1997 წელს საქართველოს მთელი საქონელბრუნვის 16.% რუსეთთან მოდიოდა. რუსეთში ექსპორტის სახით ძირითადად გააქვთ ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია: ციტრუსები, ჩაი, უალკომოლო და

ალკოჰოლიანი სასმელები, შავი ლითონები და მათი ნაწარმი, ხოლო იმპორტის ძირითადი კომპონენტებია ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ფარმაცევტული პროდუქტია, სხვადასხვა სახის მოწყობილობა-დანადგარები და სხვა. 1997 წელს გასულ წელთან შედარებით განსაკუთრებული ზრდა გაინცადა ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების და ჩაის ექსპორტმა, მაშინ როდესაც ციტრუსების ექსპორტი შემცირდა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პროდუქტის ექსპორტის პოტენციური მოცულობა გაცილებით ჩამორჩება მის შესაძლებლობებს. ამ თვალსაზრისით მრავალი ბარიერი არსებობს, რომელთა გადალახვა ხელს შეუწყობს ექსპორტის გაფართოებას. რუსეთის ბაზარზე მოთხოვნა ქართულ ნანარმზე საკმაოდ მაღალია, მაგრამ ამ მოთხოვნის გარკვეული ნანილი კმაყოფილდება ადგილობრივი ძალებით, უფრო ზუსტად ქართული პროდუქტის ფალსიფიცირების საშუალებით. საჭიროა მოხდეს ძალთა მობილიზება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს რუსულ ბაზარზე ფალსიფიკატორტა საქმიანობა, რაც ექსპორტის გაფართოების მტკიცე საფუძველს ნარმოადგენს.

**აზერბაიჯანი.** 1995-1997 წლებში განსაკუთრებულად გააქტიურდა აზერბაიჯანთან ვაჭრობა, მაგრამ სამწუხაროდ იმპორტის 1997 წელს სომხეთიდან, რომელიც შენიშვნელოდ და ექსპორტის უმნიშვნელოდ საქართველოს გადიდების ხარჯზე.

აზერბაიჯანთან ვაჭრობის გაფართოება შეიძლება აიხსნას იმით, რომ გაიზარდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი და თუკი 1995 წელს ამ პროდუქტის იმპორტის მოცულობა 33.3 მლნ. დოლარს უდრიდა, 1997 წელს ეს ციფრი 78.1 მლნ. დოლარამდე გაიზარდა (ნავთობპროდუქტების მთელი იმპორტის 41.4%).

აზერბაიჯანთან საქართველოს ვაჭრობა დინამიკაში ნაჩვენებია ნახაზზე №41

უკრაინა. ასევე დინამიურად ვითარდებოდა ვაჭრობა უკრაინასთან და 1995-1997 წლებში საქონელბრუნვის მოცულობა თითქმის 5-ჯერ გაიზარდა, მაგრამ სამწუხაროდ როგორც ნინა შემთხვევებში ვაჭრობის გაფართოება ძირითადად ხდებოდა იმპორტის გადიდების ხარჯზე (იხ. ნახაზი №42).

საქართველოდან უკრაინაში ძირითადად გააქტიური ციტრუსები, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელები.

განსაკუთრებული საექსპორტო მუხლი არის ციტრუსები, რომლის ექსპორტის მოცულობა 1996 წელს გარკვეულწილად შემცირდა, რაც უკრაინის მთავრობის 1996 წლის 8 ნოემბრის დადგენილებით იყო განპირობებული, რომლის თანახმადაც იმპორტირებულ ციტრუსებზე წესდებოდა 20%-იანი საბაჟო ტარიფი. ამან საგრძნობლად შეაფერხა ციტრუსების იმპორტი

რის შედეგადაც საქართველოს მხარის ჩარევის შედეგად ნლის ბოლოს უკრაინაზ მოხსნა მსმავსი შეზღუდვა ქართული პროდუქტის მიმართ.

**ბულგარეთი.** 1995-1997 წლებში საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს ნარმოადგენდა ბულგარეთი, რომელთანაც ვაჭრობის გაფართოებას ხელს უწყობდა ორივე ქვეყნის ზღვაზე გასასვლელის არსებობა. როგორც ნინა შემთხვევებში, ბულგარეთთან ვაჭრობისათვის დამახასიათებელი იყო იმპორტის მნიშვნელოვანი ტემპებით ზრდა, მაშინ როდესაც საქართველოს ექსპორტი 1997 წელს ნინანელთან შედარებით 12,2 მლნ. დოლარიდან 8.7 მლნ. დოლარამდე შემცირდა (იხ. ნახაზი №43).

საქართველოს ძირითად საექსპორტო პროდუქტს ბულგარეთში ნარმოადგენს სპილენძის მადანი და მისი კონცენტრატი, რომელიც მთელი იმპორტის დაახლოებით 90%-ია. ბულგარეთიდან იმპორტის სახით შემოდის ნავთობპროდუქტები (მთელი იმპორტის 74%).

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს აღსანიშნავია აშშ-თან ვაჭრობის გაქტიურება. თუკი 1995 წელს აშშ საქართველოს 10 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის მიღმა იმყოფებოდა, 1996 წელს მე-5, ხოლო 1997 წელს მე-4 ადგილზე გავიდა. 1997 წლის მონაცემებით საქონელბრუნვის

## 1997 წელს სომხეთი იმ ევრიკანათა ჩიგე სომხეთიდან, რომელიც ვაჭრობაში უარყოფითი სალდო გააჩნია.

მოცულობაშ აშშ-თან შეადგინა 74.4 მლნ. დოლარი, აქედან იმპორტის სიდიდე 70.2 მლნ. დოლარი იყო. აღსანიშნავია, რომ 1997 წელს 1996 წელთან შედარებით საქართველოდან ექსპორტის მოცულობა ზუსტად 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო იმპორტი დაახლოებით 1/2-ჯერ. საქართველოს ექსპორტის ძირითად მუხლი 1997 წელს ნარმოადგენდა შავი ლითონები, ხოლო იმპორტის ძირითად პუნქტებს ნარმოადგენდნენ ალკოჰოლიანი სასმელები, ფარმაცევტული პროდუქტი, სხვადასხვა მოწყობილობები და დანადგარები. 1995-1997 წლებში შედარებითი სტაბილურობით გამოირჩეოდა სომხეთთან ვაჭრობა, რომელიც

1997 წელს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა სიაში ვირჯინის კუნძულებიც მოხვდა, რაც ამ ევრიკანას დიდი რაოდენობით სიგარეთის განაირობაში გამოიიდა.

ნარმოადგენდა (1997 წლამდე) ერთადერთ ქვეყანას 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა შორის, რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი გააჩნდა.

1997 წელს სომხეთი საქართველოს 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა მიღმა აღმოჩნდა, რაც საქონელბრუნვის შედარებით მოკრძალებული ზრდის ტემპებით იყო

განპირობებული. რაც ყველაზე 1997 წელს დატ-ს კვეყნის შორის საქართველოს მეტად აღსანიშნავია, 1997 წელს მხოლოდ ფაზაზე მარტინ გამარტინ, თავისი მარტინ და სომხეთთან საქართველოს უკვე უარყოფითი სავაჭრო ბალანსი უზრუნველყოფას გააჩნია დადგენილი სავაჭრო საჭრე. გააჩნია და დეფიციტის მოკლობა 3.6 მილიონი ლონარი იყო. უარყოფითი სალფო გააჩნია (იხ. ნახაზი №44).

1995-1997 წლებში მიმღებარეობდა საქართველოს საგადამზღველო გადაცეს უარყოფითი სალდოს კიდევ უფრო ზაფართოება.

ექსპორტის სახით ხომენტში ძირითადად გააქვთ ნავთობი და ნავთობპროდუქტები, სასუქი და

ყველაზე ღიღი უარყოფითი სალდო  
აზერნაიჯიანთან პატრონგაში გააჩნია.

٦٦٣٥

განსაკუთრებით მოულოდნელი იყო 1997 წელს საქართველოს უმსხვილეს საგაფრო პარტნიორთა სიაში ვირჯინიის კუნძულების მოხვედრა, რაც ამ ქვეყნიდან **მომ** 52.6 მლნ. დოლარის ღირებულების **მეტი** სიგარეტის იმპორტით იყო გამოწვეული.

1994-1997 წლებში დათ-ს ქვეყნისთან ვაჭრობის  
შეძლებით მოკრძალებული ზრდის ფონზე, არა  
დათ-ს ქვეყნისთან ვაჭრობა მიმდევალოვანი  
ტემპით ხასიათდება.

პარტიიონითა სიაში, რაც გამოწვეული იყო ამ ქვეყნიდან საქართველოს ბაზარზე ხორბლისა და განსაკუთრებით ფქვილის იმპორტის ზრდით.

ତମ୍ଭକ ସାହୁକୁରିଙ୍ଗ ପାଲାନ୍ତିକି

სალდოს განვიხილავთ 1997 წელს 25%-ის  
დინამიკაში, ამ მხრივ იმპორტებ რეერგოდ  
აღსანიშნავია, რომ 1995-1997 დოლარს მიაღწია.

მიმდინარეობდა უარყოფითი სალდოს კიდევ უფრო გაფართოება და ძალზედ მნიშვნელოვანი ტემპებითაც. ძლზედ ძნელია გამოიყოს რომელიმე ქვეყანა, რომელთანაც საქართველოს სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა სალდომ განსაკუთრებული გაფართოება განიცადა. უარყოფითი სალდოს ზრდა თანაბრად იყო დამახასიათებელი ყველა **მომსახ**

**ქვეყანასთან ვაჭრობისათვის და ასევე მეტად**  
ზოგიერთი ქვეყანა, რომელთანაც  
საქართველოს დადებითი სავაჭრო სალდო  
გააცნია, 1997 წლისათვის გადავიდა იმ ქვეყნების  
სიაში, რომლებთანაც საქართველოს

უარყოფითი სალდო გააჩნია (იხ. ნახატი №44).

ინტერესშოკლებული არ  
და იყოს განვიხილოთ  
ორთველოს საგარეო ვაჭრობა  
-სა და დანარჩენ  
ფლიოსთან ვაჭრობის  
აღმში. 1994-1997 წლებში

საქართველოს საგანგრო პრუნვა დასტ-ს  
ქვეყნებთან, შედარებით მოკრძალებული  
ტემპებით იზრდება, მაშინ

როდესაც იმავე პერიოდში არა  
დასთ-ს ნევრ ქვეყნებთან  
ვაჭრობამ ნიშვნელოვანი  
ტემპებით მატულობდა. ასე შაგალითად, თუკი  
1994 წლიდან 1997 წლამდე საქონელპრუნვა დასთ-  
ს ქვეყნებთან 401.5 მილიონი დოლარი 476

ବେଳେବାଟି ଦୀର୍ଘକାଲୀନ ପାତାରେ ଅନୁଭବ ହେଲାମୁଣ୍ଡିଲୁଗିଲା  
ଏହାର ଏହାର ଏହାର ଏହାର ଏହାର ଏହାର ଏହାର ଏହାର

მილიონ დოლარამდე გაიზარდა, იმავე პერიოდში არა დსტ-ს ნევრ ქვეყნებთან ვაჭრობა 131.9 მილიონიდან 684.7 მიკიონ დოლარამდე გაიზარდა. მაგრამ საქონელბრუნვის გაფართოება ძირითადად ხდებოდა იმპორტის ხარჯზე და თუკი ექსპორტი 1994-1997 წლებში დაახლოებით 2-ჯერ გაიზარდა, იმპორტის მოცულობა ამავე პერიოდში მოიმატა (იხ. ნახაზები №45, №46).

სახით გადის ჩაი და არაორგანული ქიმიის  
პროცესები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს  
საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობა.  
როგორც მიმდინარე ოპერაციატა ბალანსიდან  
წანის მომსახურით ვაჭრობა

Digitized by srujanika@gmail.com

რეგის ექსპორტის შეზღიურების მიზანით მომსახურება სჭარბობს. არასტურობით ხასიათდებოდა. ასე მაგალითად, მისი ექსპორტი იზრდებოდა 1992 წლიდან 1995 წლამდე, შემდეგ შემცირდა 1996

ნელს და გაიზარდა 1997 წელს. აღსანიშნავია, რომ მომსახურებით ვაჭრობაში საქართველოს მეტნილად დადებითი სალდო გააჩნია. გამონაკლისია მხოლოდ 1994 და 1997 წლები, როდესაც უარყოფითმა სალდომ რეკორდული მაჩვენებელი - 85.4 მილიონი დოლარი შეადგინა. 1997 წელს მომსახურების ექსპორტი რეკორდული მაჩვენებელი იყო და 159.6 მლნ.

## სატრანსპორტო მომსახურების შიგნით გვიღებული მიუმართ ტრანსპორტზე მოდის.

დოლარი შეადგინა, რაც მთელი ექსპორტის 41%-ია. წლების მიხედვით ექსპორტის სტრუქტურაში მომსახურების ნილები მოცემულია №47 ნახაზზე.

**რაც შეეხება რინიგზაზე ტრანსპორტის შემდარიზით მაღალი ტარიფები დანახული ზღუდავს რეკორდული მაჩვენებელი ანუ 245 მილიონი დოლარი შეადგინა.**

თუკი მომსახურების ექსპორტს სტრუქტურულად განვიხილავთ, აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებას მოაქვს. მეორე ადგილზეა კომუნიკაციები, ხოლო მე-3 ადგილზე კი ტურიზმი. თუმცა ეს დასკვნები 1996 წლის მონაცემებს ეყრდნობა და თუ გავითვალისწინებთ, რომ 1997 წელს ტურისტული მომსახურების ექსპორტმა შეადგინა 46.9 მილიონი დოლარი, მაშინ იგი მნიშვნელოვნად გადაუსწრებს კომუნიკაციებს (იხ. ნახაზი №48).

სატრანსპორტო მომსახურების შიგნით ყველაზე მეტი წილი საგზაო ტრანსპორტზე მოდის, თუმცა 1997 წელს ადგილი ჰქონდა საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების საერთო შემცირებას. ამასთან, თუკი 1996 წელს საზღვაო ტრანსპორტით მომსახურების ბალანსის სალდო უარყოფითი იყო, 1997 წელს სალდო დადებითი გახდა (იხ. ნახაზი №49).

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვაო ტრანსპორტით მომსახურებით ვაჭრობის ოვალსაზრისით, საქართველოს მართლაცდა მნიშვნელოვანი პოტენცია გააჩნია. ამის საფუძველს იძლევა იმ ორი სტრატეგიული პორტის არსებობა, როგორებიცაა ფოთი და ბათუმი. თუკი მოხდება აღნიშნული პორტების გადაიარაღება და ტექნიკური მხარის დახვენა, რაც მათ კონკურენტუნარიანობას საგრძნობლად გაზრდის, მაშინ საქართველოს შესაძლებლობა ექნება გახდეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზღვაო ტრანსპორტით მომსახურების ცენტრი რეგიონში. იმის გამო, რომ დღევანდველ საქართველოს არ ძალუდს საკუთარი საშუალებით მოახერხოს ამ ორი პორტის მოდერნიზაცია ერთადერთი გამოსავალი პრივატიზაციაა.

საპარტო ტრანსპორტით მომსახურების

ოვალსაზრისით გარკვეული გაუმჯობესება შეიმჩნევა. თუკი 1996 წელს საპარტო ტრანსპორტით მომსახურების სალდო უარყოფითი იყო, 1997 წელს იგი დადებითი გახდა (იხ. ნახაზი №50).

ასევე დიდი პოტენცია გააჩნია საპარტო ტრანსპორტს. ამ მხრივ ქართული ავიაკომპანიების ხელში არსებული მოძველებული საპარტო ხომალდები

სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენენ ამ დარგის განვითარებისათვის და ამიტომაც მნიშვნელოვანი ინვესტიციებია საჭირო თვითმფრინავების პარკის გასახლებლად. საქართველოს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი თბილისის აეროპორტს, თავისი

## მეზობელ ქვეყნების შედარებით საქართველოს ტრანსპორტის შემდეგი მაღალი ტარიფები დანახული ზღუდავს რეკორდულ კონკურენციას.

მდებარეობით უპირატესობიდან გამომდინარე, შეუძლია სერიოზული კონკურენცია გაუნიოს სტამბულის აეროპორტს და საერთოდ თურქეთ ავიაკომპანიებს, რომლებიც მგზავრთა გადაყვანის საქმეში სატრანზიტო ფუნქციის ასრულებენ. იმისათვის, რომ თბილისის აეროპორტმა მსგავსი ფუნქცია შეიძინოს, საჭიროა ქართული ავიაკომპანიების ხელში არსებობდეს თანამედროვე ტიპის საპარტო ხომალდები, ამას კი სერიოზული ინვესტიციები ესაჭიროება.

მომავალში არანაკლები როლის შესრულება შეუძლია რკინიგზასაც, რომელიც უკვე დღეს ემსახურება კავკასიის და შუა აზიისათვის განკუთვნილი ტვირთების ტრანსპორტირებას. რკინიგზით საერთაშორისო მომსახურების საერთო მოცულობა 1996 წელს 13.6 მილიონი დოლარი იყო, მაშინ როდესაც მსგავსი მომსახურების იმპორტი 5.9 მილიონი დოლარი. ქართულ რკინიგზას, თავისი ხანგრძლივი გამოცდილების გათვალისწინებით, შეუძლია მომვალაში მნიშვნელოვანი შემოსავლის მომტანი გახდეს. ამისათვის, ისევე როგორც წინა სემთხვევებში საჭიროა ინვესტიციების განხორციელება სარკინიგზო ხაზების განახლების, ლოკომოტივთა და ვაგონების პარკების გადაიარაღების მიზნით. სარკინიგზო მომსახურების განვითარებისათვის დღესდღეობით ასევე სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს.

ელექტრონური მიწოდება, რკინიგზაზე ამგვარი პრობლემების არსებობა ინვესტიციონური გადაზიდვის ხარჯების გადიდებას, რაც მაღალ ტარიფებში აისახება. მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს რკინიგზაზე ტვირთების ტრანსპორტირებისათვის დაწესებულია მაღალი ტარიფები, რაც სხვა ნაკლოვან მხარეებთან ერთად აიძულებს ტვირთების გადაზიდვის მსურველებს აირჩიონ

ალტერნატიული მარშრუტები. აქედან გამომდინარე თუკი სქართველოს სურს დაიმკვიდროს სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი, სხვა გადაუდებელ ღონისძიებით ერთად (რომლებიც ზემოთ იქნა დასახელებული) საჭიროა გადაზიდვის ტარიფების გარკვეული დონით შემცირება, რაც დამატებით კონკურენციულ უპირატესობას სეუქმნის ქართულ რეინიგზას.

სავტომობილო ტრანსპორტი შედარებით მოკრზალებულ როლს თამაშობს მომსახურების ექსპორტის საქმეში. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1996 წელს საქართველომ გასწია 50 000 დოლარის ღირებულების სავტომობილო ტრანსპორტის მომსახურება. იმ შემთხვევაში თუკი მოხერხდება ქვეყნის შიგნით მძლავრი სავტომობილო ფირმების ჩამოყალიბება, რომელთა განკარგულებაში იქნება თანამედროვე დონის ავტომობილები, შესაძლებელია ამ დარგის განვითარებაც.

მოსალოდნელია, რომ უკვე მომავალი წლიდან მიღსადენებით მომსახურება საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო საქმიანობა გახდება. ამის საფუძველს იძლევა ის სამუშაოები, რომლებიც აქამდე ჩატარდა და ამჟამადაც მიმდინარეობს აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად. არსებულ მარშრუტებს შორის საქართველოზე ორი გადის, ერთი ე.წ. ჯეიპარის მარშრუტი და მეორე ე.წ. დასავლური მარშრუტი, ბაქოდან სუფსის ტერმინალამდე. ამ მარშრუტებიდან ერთ-ერთის ამოქმედება მეტად სასარგებლო იქნება ქვეყნისათვის და მას ექნება არა მხოლოდ პირდაპირი არამედ ირიბი ზემოქმედებაც ქვეყნის ეკონომიკაზე. ნავთობსადენებთან ერთად მოსალოდნელია გაზიადენების ამოქმედებაც. ამჟამად ხორციელდება გაზის ტრანზიტი რუსეთიდან სომხეთში. მზადდება პროექტი თურქეთისათვის რუსეთის გაზის მისაწოდებლად. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობთან ერთად აზერბაიჯანიდან შესაძლებელია გაზის მიწოდება ევროპის ქვეყნებისათვის საქართველოს გავლით. არსებული საშუალებებიდან გამომდინარე საქართველოს წლიურად შესაძლებლობა ექნება 12-15 მლრდ. კუბური მეტრი გაზის გატარება.

მრავალი ექსპორტის მიერ ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე რეალურ საექსპორტო მომსახურებად აღიქმება. ამის დასადასტურებლად ისიც საკმარისია, რომ 1997 წელს ნინა წელთან შედარებით ტურისტული მომსახურების ექსპორტმა 520%-იანი ზრდა განიცადა და 46.9 მილიონი დოლარი შეადგინა. 1997 წელს ასევე მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა ტურისტული მომსახურების იმპორტმა და 10 მილიონიდან 156.1 მილიონ დოლარამდე ავიდა (იხ. ნახაზი №51).

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობა ტურისტული მომსახურების ექსპორტის მოცულობის სხვადასხვა შეფასებები, რომლებიც

საგრძნობლად განსხვავდებიან ოფიციალური მონაცემებისაგან. ასე მაგალითად, არსებობს შეფასება, რომ 1997 წელს ტურიზმის სექტორში ფაქტიურად განეული მომსახურების ექსპორტი შეადგინს 247 მილიონ დოლარს, მაშინ როდესაც აქედან აღრიცხულ იქნა მხოლოდ 46.9 მილიონი დოლარი. საქართველოს გააცნია ყველა ის ობიექტური პირობა, რათა ქვეყანაში მნიშვნელოვანი საშემოსავლო წყარო გახდეს ქვეყნისათვის. იმისათვის, რომ მეტი რაოდენობის ტურისტთა მოზიდვა გახდეს შესაძლებელი, საჭიროა არსებული ტურისტული ბაზების აღდგენა და ფართო პროპაგანდა უცხოეთში.

სერიოზული პერსპექტივა გააჩნია კომუნიკაციებს, როგორც სახელმწიფო შემოსავლების მიღების ერთ-ერთ წყაროს. 1996 წელს კომუნიკაციებით განეული მომსახურების ექსპორტმა 13.2 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 0.3 მილიონი დოლარი იყო. 1997 წელს ექსპორტი 8.3 მილიონ დოლარამდე შემცირდა, ხოლო იმპორტი - 0.2 მლნ. დოლარამდე. დღესდღისობით კომუნიკაციების სექტორი სერიოზულ სიძნელეებს განიცდის. ტრადიციული საკომუნიკაციო მომსახურება, როგორიცაა ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი, ძალზედ დაბალეფექტიანად ფუნქციონირებენ, რაც არასაკმარისი რესურსების რაოდენობითა და სისტემების მოძველებით არის განპირობებული. დღეს უკვე შეიმჩნევა გარკვეული დადებითი ძვრები საფოსტო და სატელეფონო მომსახურებაში, მაგრამ იმისათვის, რომ გაიზარდოს საკომუნიკაციო მომსახურების ეფექტიანობა, საჭირო უფრო ფართოდ გავრცელდეს და დაინერგოს ისეთი საშუალებები, როგორიცაა ფოსტა, სატელიტური სატელეფონო კავშირი.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკა განსაზღვრულ ზემოქმედებას ახდენა ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის პოტენციალის სრულად ამოქმედებაზე. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანებს ინსტრუმენტს სავაჭრო პოლიტიკისა ნარმოადგენს ტარიფები. საქართველოდან პროდუქციის ექსპორტი არ ექვემდებარება საბაზო გადასახადით დაბეგვრას, ასევე საექსპორტო პროდუქცია თავისუფლდება სააქციო და დამატებული ღირებულების გადასახდისაგან. უახლოეს პერიოდამდე აკრძალული იყო ჯართის ექსპორტი საქართველოს ფარგლებს გარეთ და პარლამენტის მიერ ივნისის თვეში მიღებული კანონის თანახმად ჯართის ექსპორტირება დასაშვებია, განსაზღვრული სპეციალური საბაზო გადასახადის (მაგალითად, შავი ლითონების 1 ტონა ჯართზე - 42 ლარი) გადახდის შემდეგ.

რაც შეეხება იმპორტს, აქ მოქმედებს 12%-იანი საბაზო გადასახადი. ამასტან ფუნქციონირებენ შეღავათიანი ტარიფებიც 0 და 5%-ის ოდენობით. მაგალითისათვის, 5%-იანი საბაზო ტარიფი მოქმედებს მანქანა-

მოწყობილობების იმპორტზე. საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში არსებული საერთაშორისო ვაჭრობის დაბეგვრის რეუიმი მოცემულია №9 ცხრილში.

საბაჟო ტარიფი წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის რეგულირების ძალზედ ეფექტურ და სერიოზულ საშუალებას, ასევე მისი საშუალებით ქვეყანას შესაძლებლობა აქვს საჭიროების შემთხვევაში გაატაროს პროტექციონისტური ღონისძიებები. მეზობელ ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საიმპორტო ტარიფი დაბალია, გამონაკლისია სომხეთი და უკრაინა, სადაც 0 და 10%-იანი განაკვეთები მოქმედებენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ქვეყანას განსხვავებული სააქციო განაკვეთები აქვთ შემოღებული ეროვნული წარმოების და იმპორტულ პროდუქციაზე, რაც პროტექციონისტური პოლიტიკის გატარების ფარულ საშუალებად აღიქმება.

## საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი მსოფლიო სავაჭრო ერგანიზაციის განვითარება.

აუცილებელია საქართველოში გატარდეს საბაჟო ტარიფების ფართო დიფერენციაცია. მაღალი განაკვეთები უნდა დაუწესდეს იმ პროდუქტებს, რომელთა წარმოების შესაძლებლობები საქართველოს თავადაც გააჩინია და რომლებიც პრიორიტეტულმიმართულებებს წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკისატვის. ყველაზე ლიბერალი ეკონომისტებიც კიაღიარებენ, რომ ახალგაზრდა ქვეყნებს ესაჭიროებად გარკვეული დონით პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება, რატა დაიცვან საკუთარი წარმოება იმპორტის შემოტევისაგან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა სავაჭრო პოლიტიკის შეცვლა მოხდეს საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანოზაციაში განვირიანებამდე, რადგან შემდგომში უკვე გაჭირდება პროტექციონისტული ზომების გატარება.

1996 წლიდან საქართველო აწარმოებს მოლაპარაკებებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციებთან და ამ პერიოდიდან ქვეყანას გაცნია დამკვირვებლის სტატუსი. 1997 წლის აპრილში საქართველომ წარადგინა მემორანდუმი საგარეო ვაჭრობის რეჯიმის შესახებ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განვერიანება ფრიად სასარგებლო იქნება ქვეყნისატვის რამოდენიმე მოსაზრებიდან გამომდინარე. პირველი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია წარმოადგენს ფორუმს, სადაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს ორმხრივ და მრავამხრივ დონეებზე სხვადასხვა სავაჭრო პრობლემების გარშემოდასაც ხორციელდება ზედამხედველობა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე. დღესდღეობით მსოფლიოში

მთელ რიგ საქონელზე მაღალი ტარიფებია დაწესებული. ეს განსაკუთრებით ეხება ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. მნიშვნელოვანი სავაჭრო ბარიერები აქვთ აღმართული ევროკავშირს, აშშ-ს და სხვა ქვეყნებს. პატარა საქართველოსარ ძალუბს ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე მიოპოვოს უკეთესი დამოკიდებულება სხვა ქვეყნების ბაზრებზე. მასინ, როდესაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, როგორც მრავალმხრივ მოლაპარაკებათა საწარმოოდ შექმნილი ფორუმი, შესაძლებლობას აძლევს საქართველოს და მსგავს ქვეყნებს წამოჭრან მათთვის საჭირობოროტო საკითხები და გარკვეული ზომით ზეგავლენა მოახდინონ მათ მიმართ გატარებულ პოლიტიკაზე. მეორე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შემუშავებული აქვს საკამათო სიტუაციათა გადაჭრის საკუთარი მექანიზმები. პატარა ქვეყნები განსაკუთრებით მერქნობიარენიარიან გარეგანი შოკების მიმართ, ამიტომაც მრავალმხრივი სისტემის არსებობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში საშუალებას იძლევა მინიმუმდე იქნას დაყვანილი დიდი და ძლიერი ქვეყნების მხრიდან სუსტებზე ზეწოლის შესაძლებლობები. მაგალითისთვის გამოდგება უკრაინის მთავროვის მიერ 1996 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება უკრაინაში შემოსულ ციტრუსებზე დღე-საგრძადამატებით 20%-იანი საიმპორტო ბაჟოს დაწესების შესახებ. ეს მაშინ, როდესაც საქართველოდან ციტრუსების ექსპორტის დახლოებით 40% უკრაინის მიერ მოიხმარებოდა. ერთ თვეზე მეტი დასტირდა საქართველოს საელჩოს რათა მოეპოვებინა აღნიშნული წესის გაუქმება ქართული პროდუქციის მიმართ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა ციტრუსების ექსპორტი ამ პერიოდში სერიოზულად შეფერხდა, რამაც განაპირობა კიდეც 1995 წელთან შედარებით ციტრუსების ექსპორტის 30%-ით შემცირება. იმ შემთხვევაში თუკი საქართველო იქნებოდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი აღნიშნული პრობლემის დარეგულირება შესაძლებელი იქნებოდა რამოდენიმე დღის განმავლობაში ქართული მხარისატვის მინიმალური ზარალით.

მესამე, ტარიფევის შემცირება და სხვა სახის ზომები მიმართული საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისაკენ დადებით ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის გაფართოებასა და განვითარებაზე. საქართველოს, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე განვითარებად ქვეყანას საშუალება ექნება მიიღოს ყველაზე მეტად სასურველი პარტნიორის სტატუსი (ე.წ. MFN) და ამით გაიადვილოს უცხოურ ბაზრებზე შესვლა.

საგარეო ვაჭრობის გაფართოების მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ორმხრივ თანამშრომლობას. ამ მხრივ აღსანიშნავია ის

ორმხრივი ხეკშეკრულებები, რომლებიც საქართველოს გაფორმებული აქვს სხვა ქვეყნებთან და რომლებიც ხელს უწყობენ უცხოურ ბაზრებზე ქართულ პროდუქციისატვის ბარიერების შემცირებას.

ასევე აღნიშვნის ღირსაი 1996 წელს სამი წლით გაგარძელებული ხელშეკრულება ევროკავშირში საქართველოდან ექსპორტირებული საფეიქრო ნაწარმის ქვოტირებისაგან განთავისუფლების შესახებ. საფეიქრო ბაზრის გასაღების ბაზრის მოპობევა რთულ ამოცანას წარმოადგენს ამ დარგში არსებული მძაფრი კონკურენციის გამო. ამიტომაც ის შეღავათები, რომლებიც ქართულ პროდუქციას გააჩნია ევროკავშირის ბაზარზე მნიშვნელოვნად შეუწყობს ზელს საფეიქრო წარმოებაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და საერთოდ ამ დარგის წინ წამოწევას.

როგორც ვხედავთ, საქართველოს საგარეო ვაჭრობის წინაშე არაერთი სერიოზული პრობლემა დგას, რომელთა გადასატრენდა სასწრაფო ზომებია მისაღები, რათა შემდგომში უფრო მნვავე სირთულეების წინაშე არ აღმოვჩნდეთ. საჭიროა შემუშავებულ იქნას ისეთი სტრატეგია, რომელიც ხელს შეუშლის იმპორტის კატასტროფული ტემპებით ზრდას და ხელს შეუწყობს ექსპორტის გაფართოებას. ამ მნიშვნელოვანი ადგილობრივი წარმოების განვითარება უპირველეს პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს და თანაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეცეს იმ დარგებს, რომლებთაც შეუძლიათ სერიოზული საექსპორტო შემოსავლები მოუტანონ ქვეყანას მომავალში. ასევე საჭიროა გამოვლინდეს ახალი საექსპორტო პროდუქციის სახეები. მეტი ყურადღება დაეთმოს პროდუქციის ხარისხს, როგორც ექსპორტის გაფართოების უპირველეს გარანტის. საჭიროა გამოვლინდეს იქნას და შესაბამისი პროპაგანდა გაუკეთოდ ქართული პროდუქციის განსაკუთრებულ ღვისებებს (ასე მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტისას აქცენტი შეიძლება გაკეთობულ იქნას მის ეკოლოგიურ სისუფთავეზე). ყველაფერ ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება აღინიშნოს, რომ გონივრული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში საქართველოს გააჩნია რეალური შნია აქტიურად ჩაერთოს მსოფლიოს ეკონომიკურ თანამშრომლობაში.

როგორც ვხედავთ, საქართველოს საგარეო სავაჭრო დეფიციტი ყოველწლიურად კატიასტროფული ტემპებით იზრდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ საჭიროა რადიკალური ზომების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში რამოდენიმე წლის შემდეგ ქვეყანა სერიოზული სირთულეების წინაშე აღმოჩნდება. სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება უნდა გახდეს პრიორიტეტული დარგების პრეფერენციულ მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით საჭიროა შემოღებულ იქნას ადექვატური დაბეგვრა.

პროდუქციის ექსპორტის სუბსიდირება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ექსპორტის მოცულობის გაფართოებას და ქვეყნის სავალუტო რეზერვების შევსებას.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს ასევე იმპორტშემცვლელი სტრატეგია. თუკი საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის ნუსხას გადავხედავთ, ჩანს, რომ ბევრი მათგანი იმ საქონელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა წარმოებაც ადგილობრივადაც შეიძლება და თანაც უკეთესი ხარისხით. მაგალითისათვის, საქართველოში 1997 წელს იმპორტის სახით შემოვიდა 2.5 მილიონი დოლარის ღირებულების რაოდ, 5.6 მილიონი დოლარის — კარაქი და რძის სხვა ცხიმები, 2.4 მილიონი დოლარის კვერცხი, 38.4 მილიონი დოლარის ხორბალი და სხვა. აღნიშნული პროდუქციის წარმოების გაფართოებით შესაძლებელია მიღწეულ იქნას მათზე ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება და შესაბამისად იმპორტის შეზღუდვა. იმპორტშემცვლელი პოლიტიკის წარმატებულად წარმართვის მიზნით საჭიროა გადაისინჯოს იმპორტთან მიმართებაში არსებული სატარიფო პოლიტიკა. საჭიროა, რომ იმ დარგების პროდუქციაზე რომელთა წარმოებაც საქართველოში ადგილობრივი ძალებითაც შეიძლება დაწესდეს მაღალი საბაჟო განაკვეთები. ასევე საჭიროა, რომ იმ ქვეყნებთან, რომელთაც საქართველოდან იმპორტირებულ საქონელზე მაღალი ტარიფები გააჩნიათ შემოღებულ იქნას ადექვატური დაბეგვრა. მაგალითად, როგორც №9 ცხრილიდან ჩანს თურქეთში საბაჟო გადასახადები მერყეობენ 0-დან 500%-მდე, რაც საგრძნობლად აღემატება საქართველოში თურქეთიდან იმპორტირებულ საქონელზე მოქმედ ტარიფებს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ თურქეთი საქართველოს ერთ-ერთ ძირითად სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს და მასთან მნიშვნელოვანი სავაჭრო დეფიციტი გაგვაჩნია. აქედან გამომდინარე ადგილობრივ და უცხოელ მენარმეთა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით საჭიროა შემოღებულ იქნას ადექვატური დაბეგვრა.

იმისათვის, რომ საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო თანამეგობრობაში და გახდეს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი უჯრედი, საჭიროა უკვე დღევანდელ ეტაპზე დაისახოს განსაზღვრული სტრატეგია, რომლის მიზანმიმართული შესრულების შედეგად მიღწეულ იქნება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. უპირველესი საკითხი, რომელიც ამ შემთხვევაში წამოიჭრება არის საქართველოს ეკონომიკის სწორი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი განვითარების მიმართულებების და საშუალებების განსაზღვრა. მომგებიანი დარგობრივი

სტრუქტურის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ტენდენციებისადმი მხარის აბმით. საქართველოს ეკონომიკას ორიენტაცია უნდა ჰქონდეს აღებული ისეთ დარგებზე, რომლებიც ნაკლებ ფიზიკურ რესურსებს და მეტ ტექნო და მეცნიერტევად რესურსებს მოითხოვენ. თანამედროვე ეტაპზე საჭიროა განსაზღვრულ იქნეს გრძელვადიანი და მოკლევადიანი პრიორიტეტები. როდესაც მოკლევადიან პრიორიტეტებზე ვსაუბრობთ აქ პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ სოფლის მეურნეობის დარგები, რომლებიც ადრეულ წარსულში საქართველოს ეკონომიკის მსხვილ შემაღებელ ნაწილებს ნარმოადგენდენ და რომელთა ექსპორტირებასაც ქვეყანა აწარმოებდა. კერძოდ ეს დარგებია ჩაის ნარმოება, ლვინო და ლვინომასალები, ციტრუსები და სხვა. გრძელვადიან ჭრილში აუცილებელია, რომ ეკონომიკამ გეზი იაღოს უფრო პროგრესულ დარგებზე და თანდათანობით, ეტაპობრივად მოხდეს უარის თქმა ზემოთ ჩამოთვლილ სოფლის მეურნეობის დარგებზე. ვინაიდან აგრარული ქვეყანა და განვითარებადი ქვეყანა დღევანდელ მსოფლიოში ასოცირდება ერთმანეთთან. გრძელვადიანი პრიორიტეტული დარგების განვითარების კვალობაზე თანდათანობით მოხდება ზემოთჩამოთვლილი შედარებით არამომგებიანი დარგების შეზღუდვა და რესურსების ახალ მომგებიან დარგებში გადადინება ანუ ქვეყნის ეკონომიკის გადაორიენტირება, რაც შედარებით უმტკიცნეულოდ განხორციელდება. როდესაც პრიორიტეტებზე ვსაუბრობთ, ამოსავალი ნერტილი მათი განვითარებისათვის იქნება საწყის ეტაპებზე არსებული სირთულეების მაქსიმალურად შემსუბუქება და მუდმივი სახელმწიფო მხარდაჭერა და ზრუნვა. მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციებიდან გამომდინარე აქცენტი უნდა იქნეს გადატანილი ახალ დარგებზე, რომლებიც საქართველოში ჯერ-ჯერობით არ ფუნქციონირებენ და არსებულ ზოგიერთ დარგზე. ახალი დარგებიდან ყველაზე მეტი მოთხოვნით მსოფლიო ბაზარზე სარგებლობს კომპიუტერული მომსახურება, კერძოდ პროგრამული მომსახურება, მონაცემთა დამუშავება და მათთან დაკავშირებული ტექნიკური და საკონსულტაციო მომსახურება. აღნიშნული დარგის განსავითარებლად საქართველოს ყველანაირი პირობა გააჩინია. ამასთან კომპიუტერული მომსახურება

სპეციფიკური ხასიათის დარგია, რაც გამოიხატება მისი არნახული ტემპებით პროგრესირებაში. ამ დარგს დიდი ხნის ისტორია არ გააჩინა და შესაბამისად მისი შესწავლა დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული. ამასთან გამოცდილება ამ დარგში არ შეიძლება ჩაითვალოს უპირატესობად, ვინაიდან აქ ყველაფერს წყვეტს რაციონალიზატორული საქმიანობა და სიახლეთა დანერგვის უნარი, რის საფუძველსაც გამჭრიახი გონებისა და დიდი ნიჭით დაჯილდობული ადამიანები ნარმოადგენენ. კომპიუტერული მომსახურების დარგის განვითარებას საქართველოში არ დასჭირდება დიდი სახსრები, ვინაიდან ამისათვის არ არის საჭირო გრანდიოზული მშენებლობების ან თუნდაც გეგმების შექმნა. აღნიშნული დარგის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი მოითხოვს შედარებით მცირე დანახარჯებს, მაშინ როდესაც შემოსავალი მისგან მნიშვნელოვანი იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ეს დარგები მთლიანად საზღვარგარეთის ბაზრებზე იქნება მიმართული, ადვილი მისახვედრია, რომ შემოსავალი ძირითადად უცხოურ ვალუტაში იქნება.

კომპიუტერული მომსახურება ერთი კომპიუნტი უნდა გახდეს ქვეყნის მომავალი დარგობრივი სტრუქტურისა სხვა მსგავსს, ახალ მეცნიერტევად დარგებთან ერთად. რაც შექება უკვე არსებული, ტრადიციული დარგების განვითარებას, აქ სტრატეგია შემდეგნაირი უნდა იყოს: საჭიროა თითოეული დარგის შიგნით ამორჩეულ იქნას ნარმოების განსაზღვრული ვიწრო სფერო, საწიროა აღმოჩენილ იქნას ნიშა თითოეული დარგის შიგნით, რომლითაც საქრთველო საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას შეზღუდებს და ქვეყანას დამატებით სავალუტო შემოსავლებს მოუტანს. მაგალითისათვის ავილოთ კვების მრეწველობა. თუკი ქვეყანა განაცხადებს, რომ მას აქვს პრეტენზია და ამასთან რეალური შესაძლებლობა, რათა მოამარავოს საერთაშორისო ბაზრები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით და ორიენტაცია იქნება ამგვარად აღებული და არა მთლიანად კვების მრეწველობაზე, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ მოწოდებას შესაბამისი გამოხმაურება მოპყვება საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან. თითოეული დარგის შიგნით გარკვეული ნიშა მოძებნა და მასზე ორიენტაციის აღება უნდა გახდეს ამოსავალი ნერტილი ზოგადი ეკონომიკური სტრატეგიისა.

ცხრილი №1

მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში დინამიკაში

	1992	1993	1994	1995	1996	1997
მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში (ოფიციალური ტრანსფერის გამოკლებით)	-318.9	-485.1	-446.0	-477.4	-379.5	-305.9
ოფიციალური ტრანსფერები	71.2	131.2	170.0	113.9	84.1	179.9
სავაჭრო ბალანსი	-377.9	-448.3	-363.2	-421.6	-313.3	-561.0
ექსპორტი მათ შორის, საზღვრისპირა ვაჭრობა იმპორტი მათ შორის, ბუნებრივი აირი საზღვრისპირა ვაჭრობა ჰუმანიტარული დახმარება	266.6	457.0	380.7	289.5	372.3	385.7
მომსახურება ექსპორტი იმპორტი	-644	-905.3	-743.9	135.0 - 711.2	173.5 - 814.8	135.5 - 1170.1
	—	—	—	- 72.8	- 85.8	- 72.5
	—	—	—	- 200.0	- 44.0	- 101.6
	—	—	—	- 113.9	- 84.1	- 137.8
მომსახურება	22.6	17.1	- 47.4	4.9	4.3	- 85.4
ექსპორტი	87.9	72.7	102.0	110.5	98.0	159.6
იმპორტი	- 65.3	- 89.8	- 149.0	- 105.6	- 93.7	- 245

ცხრილი №2

საქართველოს სავაჭრო ბალანსი.

	1994	1995	1996	1997
ექსპორტი	186.0	151.2	198.8	230.1
იმპორტი	- 353.2	- 391.6	- 687.7	- 930.7
სალდო	- 167.2	- 240.4	- 487.9	- 700.6

ცხრილი №3

საქონლით და მომსახურებით ვაჭრობა.

	1994	1995	1996	1997
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	288	261.7	296.8	389.7
საქონლისა და მომსახურების იმპორტი	-316.2	-497.2	-780.4	-1175.7
სალდო	-28.2	-235.5	-483.6	-786

## საქართველოსა და სხვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ზოგადი მაჩვენებლები

	მოსახლეობა(1995)	ფართობი (კვ.კმ)	მშპ (1996) მლნ. დოლარი	მშპ ერთსულზე (1996)
საქართველო	5 300 000	69 700	3 500	716
სომხეთი	3 762 000	29 800	1 647	438
აზერბაიჯანი	7 420 000	86 600	3 520	475
ხორვატია	4 900 000	56 538	18 200	3 734
ჩეხეთი	10 321 000	78 864	51 500	5 000
უნგრეთი	10 230 000	93 036	43 000	4 287
პოლონეთი	38 792 442	312 677	120 000	3 100
სლოვაკეთი	5 400 000	49 036	17 200	3 100
სლოვენია	1 987 500	20 256	18 000	9 939

ცხრილში №5

## საქართველოს 15 ძირითადი საექსპორტო პროდუქცია 1996-1997 წლებში:

ექსპორტი 1996 წელს	მლნ. დოლარი	ექსპორტი 1997 წელს	მლნ. დოლარი
პროდუქციის დასახელება	17.4	პროდუქციის დასახელება	22.6
ნავთობი	16.8	ელექტროენერგია	17.6
ჩაი	15.7	მინერალური წყლები	17.6
ფოლადის პროდუქცია	13.4	ფოლადის პროდუქცია	15.5
სპილენძის კონცენტრატი	13.1	ფერომენადნობები	14.4
სასუქები	11.9	ნავთობპროდუქტები	13.8
დაბეჭდილი წიგნები	10	ლვინო	12.3
ციტრუსები	8.2	ჩაი	13.9
ფერომენადნობები	7.7	თუჭი და ფოლადი	9.3
ნავთობპროდუქტები	6.7	თამბაქო	6
მინერალური წყლები	5	სპილენძის კონცენტრატი	7.2
სხვა სასმელები	4.8	ნავთობი	13.4
ხორბლის ფქვილი	4.5	ციტრუსები	5.2
ლვინო	3.7	სხვა სასმელები	3.1
ელექტროძრავები	2.7	არაორგანული ე.ი.მ.	3
თხუთმეტივე პრო- დუქციის ექსპორტი	141.6	თხუთმეტივე პრო- დუქციის ექსპორტი	174.9
ექსპორტი 1996 წელს	198.8	ექსპორტი 1997 წელს	230.1

ცხრილი №6

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი 10 უმსხვილეს  
პარტნიორ ქვეყანასთან 1995 წელს

№	ქვეყნები	ბრუნვა	ექპორტი	იმპორტი	საღდო
	მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვა	542.8	151.2	391.6	- 240.4
	მათ შორის ქვეყნების შიხედვით:				
1	თურქეთი	115.0	34.9	80.2	- 45.3
2	რუსეთი	96.3	47.0	49.3	- 2.3
3	აზერბაიჯანი	56.0	12.7	43.2	- 30.5
4	თურქეთი	48.1	6.9	41.2	- 34.3
5	ბულგარეთი	31.2	5.7	25.5	- 19.8
6	სომხეთი	30.1	18.9	11.2	7.7
7	რუმინეთი	28.2	-	28.2	- 28.2
8	აშშ	18.6	0.6	17.9	- 17.3
9	უკრაინა	12.7	5.7	7.1	- 1.4
10	ავსტრია	12.0	0.03	12.0	- 12.03
	სულ ათივე სავაჭრო პარტნიორთან:	448.2	132.4	315.8	- 183.4

ცხრილი №7

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი 10 უმსხვილეს  
პარტნიორ ქვეყანასთან 1996 წელს

№	ქვეყნები	ბრუნვა	ექპორტი	იმპორტი	საღდო
	მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვა	885.5	198.8	686.7	- 487.9
	მათ შორის ქვეყნების შიხედვით:				
1	რუსეთი	171.1	56.8	114.3	- 57.5
2	თურქეთი	98.4	25.9	72.5	- 46.6
3	აზერბაიჯანი	96.0	24.8	71.2	- 46.4
4	ბულგარეთი	50.7	12.2	38.5	- 26.3
5	აშშ	44.8	1.4	43.5	- 42.1
6	უკრაინა	40.3	5.4	34.9	- 29.5
7	თიბი ბრიტანეთი	39.3	8.4	30.9	- 22.5
8	ლუმინეთი	38.8	2.1	36.7	- 34.6
9	სომხეთი	36.2	20.5	15.7	4.8
10	იტალია	31.4	1.7	29.7	- 28.0
	სულ ათივე სავაჭრო პარტნიორთან:	647.0	159.2	487.9	- 328.7

ცხრილი №8

**საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი 10 უმსხვილეს  
პარტნიორ ქვეყანასთან 1997 წელს**

№	ქვეყნები	შრუნვა	ექპორტი	იმპორტი	საღდო
	შთანიანი საგარეო სავაჭრო	1160.8	230.1	930.7	- 700.6
	გრუნვა				
	შათ შორის ქვეყნების შინეფვით:				
1	რუსეთი	193.6	68.6	125.0	- 56.4
2	თურქეთი	144.0	30.0	114.0	- 84.0
3	აზერბაიჯანი	140.6	25.1	115.5	- 90.4
4	აშშ	74.4	4.2	70.2	- 66.0
5	უკრაინა	63.9	8.4	55.5	- 47.1
6	ბულგარეთი	54.8	8.7	46.1	- 37.4
7	კირკინიის კუნძულები	53.2	0.4	52.8	- 52.4
8	იტალია	46.3	5.1	41.2	- 36.1
9	დიდი ბრიტანეთი	46.1	4.2	41.9	- 37.7
10	გერმანია	45.8	5.9	39.9	- 34.0
	სულ ათივე სავაჭრო პარტნიორთან	862.7	160.6	702.1	- 541.5


ცხრილი № 9

**საბაჟო ტარიფები საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში**

ტარიფები	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	რუსეთი	უკრაინა	თურქეთი
ექსპორტი	0%	0%	70%	1-დან 500%-მდე	0%	0
იმპორტი	0,2%	0-დან 10%- მდე	0-დან 70%-მდე	2-დან 30%-მდე	0-დან 10%-მდე	5-დან 100%
საბაჟო ტარიფი	0,5% და 12%					


ნახაზი №1

**მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის სალდო  
(მლნ. დოლარებში)**




ნახაზი №2

**მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის სალდოს ნიღე  
მშპ-ში (%)**




ნახაზი №3

**სავაჭრო ბალანსი (მლნ. დოლარებში)**




**საქონლისა და მომსახურების ექსპორტის  
მოცულობა (მლნ. ლონარებში)**




ნახაზი №5

**ექსპორტის რეალური ნლიური ზრდა (%)**




ნახაზი №6

**ექსპორტის ნიღი მშპ-ში (%)**




საქონლისა და მომსახურების იმპორტის  
მოცულობა (მლნ. ლონარებში)




ნახაზი №8

იმპორტის მოცულობის რეალური ცვლილება (%)




ნახაზი №9

ექსპორტის სტრუქტურული დინამიკა (მლნ. ლონარი)




□ სოფლის მეურნეობა ■ მოპოვებითი მრენ. □ გადამამუშავებელი მრენ.


იმპორტის სტრუქტურული დინამიკა (მლნ. დოლარი)



მინერალური რესურსების ექსპორტი (მლნ. დოლარი)




მინერალური წყლების ზრდის ტემპები (%)




ნახაზი №13

ჩაის ექსპორტი (მლნ. დოლარი)




ნახაზი №14

ჩაის ექსპორტის ზრდის ტემპები (%)




ნახაზი №15

აზოტოვანი სასუქების ექსპორტი (მლნ. დოლარი)




ნახაზი №16

აზოტოვანი სასუქების ექსპორტის ზრდის  
ტემპები (%)




ნახაზი №17

შავი ლითონების ექსპორტი(მლნ.  
დოლარი)




ნახაზი №18

შავი ლითონების ექსპორტის ზრდის ტემპები  
(%)




ნახაზი №19

ფეროშენადნობების ექსპორტი (მლნ.  
დოლარი)




ნახაზი №20

ფეროშენადნობების ექსპორტის ზრდის  
ტემპები (%)




ნახაზი №21

ღვინის ექსპორტი (მლნ. დოლარი)




ნახაზი №22

ღვინის ექსპორტის ზრდის ტემპები (%)




ნახაზი №23

სპილენძის მაღნის ექსპორტი (მლნ. დოლარი)




ნახაზი №24

სპილენძის კონცენტრატის ექსპორტის ზრდის ტემპები (%)




ნახაზი №25

ციტრუსების ექსპორტი (მლნ. დოლარი)




ნახაზი №26

ციტრუსების ექსპორტის ზრდის ტემპები (%)




ნახაზი №27

ეთილის სპირტის ექსპორტი (მლნ. დოლარი)




ნახაზი №28

ეთილის სპირტის ექსპორტის ზრდის ტემპები  
(%)




ნახაზი №29

ნავთობპროდუქტების იმპორტი (მლn.  
დოლარი)




ნახაზი №30

ნავთობპროდუქტების იმპორტის ზრდის  
ტემპები (%)




තාම්බාජාල් ප්‍රමාණය (මුළු දෙගලාරු)




නාභාධි නො 32


තාම්බාජාල් ප්‍රමාණයේ තුළයේ අංශය (%)




නාභාධි නො 33

කෝරෝලියේ ප්‍රමාණය (මුළු දෙගලාරු)






ნახაზი №35




ნახაზი №36




ნახაზი №37

მანქანა-მოწყობილობების იმპორტი (მლნ.  
დოლარი)




ნახაზი №38

მანქანა-მოწყობილობების იმპორტის  
ზრდის ტემპები (%)




ნახაზი №39

თურქეთსაქართველოს ვაჭრობა (მლნ. ლილიარებში)




ნახაზი №40

რუსეთ-საქართველოს ვაჭრობა (მლნ. დოლარებში)




ნახაზი №41

აზერბაიჯან-საქართველოს ვაჭრობა (მლნ. დოლარებში)




ნახაზი №42


უკრაინა-საქართველოს ვაჭრობა (მლნ. დოლარებში)




ნახაზი №43




ნახაზი №44



ნახაზი №45




დასტანდან და არა-დასტას წევრ ქვეყნებიდან იმპორტი




ნახაზი №47

ექსპორტის სტრუქტურაში მომსახურების წილი (%)




ნახაზი №48

მომსახურების ექსპორტის სტრუქტურა  
(1996წ.)




ნახაზი №49

საზღვაო ტრანსპორტით მომსახურება



ნახაზი №50

საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება



ნახაზი №51

ტურისტული მომსახურებით ვაჭრობა

